სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

16233499053419

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190100883

რეგისტრაციის თარიღი

31.01.2019 წ

ნოტარიუსი: სალომე სალუქვაძე
მისამართი: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია (ნაკვ. 03/003)
ტელეფონი: 597999990

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდათერთმეტ იანვარს, მე - სალომე სალუქვაძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე, მომმართა ბატონმა **დავით ბედოიძემ,** დაბ. 20.08.1987წ. პირადი #16001015085, პირადობის მოწმობა #13II32141.

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირების რეესტრიდან, შპს „A.M.D„-ს /საიდენტიფიკაციო კოდი: 404894664/ შესახებ, გაცემული 2017 წლის 15/09/ 10:16:41 - ის მდგომარეობით, განაცხადა, რომ არის საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი - დირექტორი და სურს, როგორც საზოგადოების დირექტორმა გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ ნუგზარ დუდუჩავას.

მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობით და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომლიც წავუკითხე მარწმუნებელს. განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რომ ამ მინდობილობის გაცემით, რწმუნებული უფლებამოსილია სრულად განახორციელოს მინდობილობით მინიჭებული უფლებები.

მინდობილობის ტექსტი მარწმუნებელმა წაიკითხა ჩემი თანდასწრებით და განაცხადა, რომ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება სრულად ასახავს მის სურვილს და ხელი მოაწერა მას ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდათერთმეტ იანვარს, ბატონმა **დავით ბედოიძემ,** დაბ. 20.08.1987წ. პირადი #16001015085, პირადობის მოწმობა #13II32141, როგორც შპს „A.M.D„-ს /საიდენტიფიკაციო კოდი: 404894664/ წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა - დირექტორმა, შემდგომში მარწმუნებელი, ბატონ **ნუგზარ დუდუჩავას,** დაბ. 13.03.1949წ. პირადი #62001006530, პირადობის მოწმობა #13IA28317, შემდეგში მოხსენიებული, როგორც „რწმუნებული“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები კომპეტენტურ ორგანიზაცია-სამსახურებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მუნიციპალიტეტში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, სამოქალაქო რეესტრში, საჯარო რეესტრში, იუსტიციის სახლში, არქიტექტურულ, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საკუთრების აღიარების კომისიაში, სახელმწიფო არქივებში, საკადასტრო და სხვა შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებში ნებისმიერი უძრავი ქონების ლეგალიზება-რეგისტრირების და სამშენებლო-საპროექტო ნებართვებისა და მშენებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებისას.

მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, დაარეგისტრიროს ნებისმიერი უძრავი ქონება საჯარო რეესტრში, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის საარქივო მასალები. საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს უძრავი ქონების გაერთიანება მომიჯნავედ არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან, აზომვა, გამიჯვნა, გაერთიანება, ფუნქციის შეცვლა, ფართის დაზუსტება, კორექტირება, მიჯნის დადგენა, წითელი ხაზების ცვლილება. გადაფარვის შემთხვევაში გასცეს თანხმობა მიჯნის და წითელი ხაზების დაზუსტებაზე.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან, ხელი მოაწეროს განცხადებას, განაცხადს, თანხმობას, კერძო და საჯარო აქტებს. წარადგინოს და მიიღოს საქმისწარმოებისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი, მათ შორის საარქივო მასალები.

მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია. საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს მიწის ნაკვეთის გაერთიანება, გამიჯვნა, ფუნქციის შეცვლა, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება. მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს არსებული პროექტის კორექტირება, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს რეკონსტრუქცია-მშენებლობასთან და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების, ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახდელები.

რწმუნებული უფლებამოსილია ასევე იყოს წარმომადგენელი ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების და კომუნალური მომსახურების სამსახურებში, გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული იურიდიული და ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებისას, ხელი მოაწეროს სააბონენტო ხელშეკრულებას, განცხადებას/განაცხადს.

არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. იგი უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია საზოგადოების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილების ფარგლებში.

რწმუნებული მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მარწმუნებლის უფლებებით. იგი სარგებლობს შესაბამისი რეგიონის კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით დადგენილი ყველა იმ უფლებით, რომელიც აქვს მარწმუნებელს, როგორც საზოგადოების დირექტორს.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის მოქმედების ვადით. მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე. შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს სალომე სალუქვაძის ოფისში, დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. #507 დადგენილების 31.7. მუხლის საფუძველზე - 10ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის - 2 ლარი, სულ 12 (თორმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე